საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა

www.stateless.ge

ვის შეუძლია მოითხოვოს სტატუსი

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი ენიჭება პირს

- რომელსაც არ უდგინდება საქართველოს მოქალაქეობა;
- მას არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს საკუთარ მოქალაქედ.

სტატუსის დადგენის მოთხოვნის უფლება აქვს საქართველოში მყოფ ნებისმიერ პირს, საქართველოში მისი ყოფნის კანონიერების მიუხედავად, რომლის მიმართ არ არის გამოტანილი საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება.

წარსადგენი დოკუმენტები

სტატუსის დადგენის მიზნით, პირი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს. განცხადებას უნდა დაერთოს:

- 2 ფოტოსურათი, ზომით 3/4;
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც, შესაძლოა, დადასტურდეს სტატუსის მაძიებლის მოქალაქეობის არქონის ფაქტი.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს სტატუსის მაძიებლის შესახებ შემდეგი მონაცემები:

- საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, წინა მოქალაქეობა, სქესი, დაბადების ადგილი და თარიღი, დედის ქორწინებამდელი და ქორწინების შემდგომი გვარი);
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკვიზიტები (დოკუმენტის სახე და ნომერი, მოქმედების ვადა, გაცემის ადგილი და თარიღი, გამცემი ორგანო);
- ოჯახური მდგომარეობა, ქორწინების თარიღი, შვილების მოქალაქეობა და დაბადების ადგილი, მეუღლის (ყოფილი მეუღლის) სახელი, გვარი და მოქალაქეობა;
- ბინადრობის ქვეყნები და ამ ქვეყნებში ბინადრობის პერიოდი;
- განათლება;
- სამუშაო ადგილი;
- ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.

განცხადების განხილვა

სტატუსის მაძიებელზე სააგენტო გასცემს დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას 1 წლის ვადით;

სტატუსის მაძიებლის მიერ პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, სააგენტო ადგენს სტატუსის მაძიებლის ვინაობას;

- მაძიებლის ვინაობის დადგენის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია პირი მიიწვიოს გასაუბრებაზე;
- საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელს, სტატუსის დადგენის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში, საქართველოში ყოფნის ვადა ეთვლება საპატიოდ;
- სტატუსის მაძიებელი, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფება საქართველოში, არ შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან სტატუსის დადგენის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში;

სტატუსის დადგენისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტოს შეუძლია:

- გამოიყენოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, სხვა სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე, საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება;
- სახელმწიფო ორგანოებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია სტატუსის მაძიებლისათვის სტატუსის დადგენის საკითხის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებთან შესაბამისობის თაობაზე;

თუკი განცხადების განხილვის განმავლობაში გამოვლინდება პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საჭიროება/აუცილებლობა, სააგენტო შეაჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას და საქმის მასალებს გადაუგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს პირისთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით;

სტატუსის დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება იწვევს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაუქმებას.

გადაწყვეტილების მიღება

- სტატუსის დადგენის შესახებ განცხადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან 6 თვის ვადაში, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელია არა უმეტეს 3 თვის ვადით. გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს;

- გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება განმცხადებელს;
- პირისთვის სტატუსის დადგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში მიეთითება მისთვის მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ;
- მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირზე გაიცემა დროებითი ბინადრობის ნებართვა 3 წლის ვადით.

სტატუსის დადგენისთვის მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საფუძვლები

ადმინისტრაციული წარმოება შეწყდება, თუ სტატუსის მაძიებელი

- გარდაიცვალა;
- დადგენილი წესით შეტყობინების მიუხედავად, თავს არიდებს გასაუბრებაზე გამოცხადებას;
- დაკარგა საქართველოში სტატუსის დადგენის ინტერესი (თუ სტატუსის მაძიებელი აღარ არის დაინტერესებული სტატუსის დადგენის საკითხით, იგი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს სააგენტოს და მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა);
- არ თანამშრომლობს სააგენტოსთან სტატუსის დადგენისთვის საჭირო გარემოებების დასადგენად;
- დაუდგინდა ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

სტატუსის დადგენაზე უარის თქმის და დადგენილი სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

სტატუსის მაძიებელს შეიძლება უარი ეთქვას სტატუსის დადგენაზე, თუ:

- დაუდგინდა საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- სტატუსის დასადგენად წარადგინა ყალბი დოკუმენტები ან არასწორი ინფორმაცია სტატუსის დადგენისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ;
- არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ;
- შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება;
- მის მიმართ არსებობს „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციით განსაზღვრული გარემოებები.

პირს შეუწყდება დადგენილი სტატუსი, თუ:

- მიიღო ან მას დაუდგინდა საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- გამოვლინდა, რომ სტატუსის დასადგენად წარადგინა ყალბი დოკუმენტები ან არასწორი ინფორმაცია სტატუსის დადგენისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ;
- გამოვლინდა, რომ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ;
- გამოვლინდა, რომ მის მიმართ არსებობს „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციით განსაზღვრული გარემოებები;
- მასზე პასუხისმგებლობა აიღო „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციის ხელშემკვრელმა რომელიმე სახელმწიფომ.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და გასაჩივრება

- სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებიდან 1 თვის შემდეგ;
- სტატუსის დადგენაზე უარის ან შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.

უფასო სამართლებრივი დახმარება

თუ გესაჭიროება სამართლებრივი დახმარება, მიმართე „უფლებები საქართველოს“:

+995 (593) 111 405 office@rights.ge

www.stateless.ge / www.rights.ge

ქ. თბილისი, ა.გახოკიძის ქ. №11ა

სახელმწიფო სერვისები

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მოსაპოვებლად, მიმართე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

+995 (32) 240 10 10 online@sda.gov.ge

www.sda.gov.ge / www.psh.gov.ge

ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო №1 (იუსტიციის სახლი)

UNHCR The UN Refugee Agency

მასალა მომზადებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვა და გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

უფლებები საქართველო Rights Georgia